ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამართლის სკოლის

დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სამართლის სკოლის სტატუსი

1.1 სამართლის სკოლა (შემდგომში-სკოლა) არის სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) ძირითადი საგანმანათლებლო (სასწავლო-სამეცნიერო) სტრუქტურული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და კვლევებს სამართლის მიმართულებით, უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

1.2 სკოლის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

1.3 სკოლის მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.N32

მუხლი 2. დებულების მოქმედების ფარგლები

2.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სკოლის მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სკოლის სტრუქტურას, მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს, მართვის ორგანოებსა და პერსონალს, მათი არჩევის წესსა და უფლება-მოვალეობებს, ასევე სხვა საკითხებს,რომლებიც დაკავშირებულია სკოლის ფუნქციონირებასთან.

2.2 სკოლის დებულებით განსაზღვრული სამართალმდგომარეობების შესრულება სავალდებულოა სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეულის, პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

2.3 წინამდებარე დებულება, იურიდიულ ძალას იძენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

თავი II

სკოლის მიზნები და ამოცანები

მუხლი 3. სკოლის მიზნები და ამოცანები

3.1 სკოლის მიზანია:

აკადემიური, სინდისის და არჩევანის თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით განავითაროს, მართოს და განახორციელოს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და სასერტიფიკატე პროგრამები/კურსები იმისათვის, რომ უახლესი იურიდიული განათლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) უზრუნველყოს თითოეული საფეხურის შესაბამისი (ადეკვატური) დონის სპეციალისტის მომზადება, რაც გულისხმობს სტუდენტების, როგორც თეორიულ-პრაქტიკული ინფორმაციით (ცოდნით) აღჭურვას, ისე სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების შესწავლა/გამომუშავებას, უმაღლესი იურიდიული განათლების თითოეული საფეხურისათვის დადგენილი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

3.2. სკოლა მიზნის მისაღწევად (სკოლის ამოცანები) :

ა) ქმნის და სრულყოფს სტუდენტებისათვის სწავლის, კვლევისა და თვითგანვითარებისთვის მაქსიმალურად მიმზიდველ გარემოს;

ბ) უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ცოდნის მიწოდებას სამართლის სფეროში სწავლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) თანამედროვე აქტიური სწავლების ყველა მეთოდის გამოყენებითა და ინოვაციური და პროდუქტიული კურიკულუმების განვითარების გზით ამკვიდრებს ახალ ფასეულობებს სამართლის სწავლების მიმართულებით უმაღლესი განათლების სფეროში;

დ) მონაწილეობს და თავად ქმნის სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებს საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად. ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო მობილობას;

ე) ახდენს ფაკულტეტზე თანამედროვე დონის მართვის საინფორმაციო სისტემების კონცეპტუალიზაციას და დანერგვას;

ვ) უზრუნველყოფს სასწავლო კურსების, მოდულების, პროგრამების მომზადებას და განხორციელებას სათანადო სამეცნიერო დისციპლინებში სწავლების სამივე დონისათვის (საფეხურისათვის);

ზ) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში ინიცირებას უკეთებს და ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით პროექტებს სათანადო სამეცნიერო დისციპლინებში;

თ) ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას სკოლის მართვაში და სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში;

ი) ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებს, საჯარო ლექციებს, ასევე სხვა ღონისძიებებს, სადაც დაინტერესებულ საზოგადოებას აცნობს განხორციელებული სამეცნიერო კვლევ(ებ)ის შედეგებს;

კ) გამოსცემს სამეცნიერო პუბლიკაციებს და აკადემიურ პერიოდიკას;

ლ) ამყარებს კავშირებს საქართველოს და სხვა ქვეყნების წამყვან სასწავლო დაწესებულებებთან, აკადემიურ ცენტრებთან ან/და სხვა ორგანიზაციებთან, როგორც ერთჯერადი პროექტების, ისე გრძელვადიანი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განსახორციელებლად;

მ) ატარებს ღონისძიებებს სკოლის მუშაობის და მიღწევების საზოგადოებისთვის გასაცნობად;

ნ) ხელს უწყობს და უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

თავი III

სკოლის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 4. სკოლის სტრუქტურა

სკოლა შედგება სკოლის მართვის ორგანოებისა და სკოლის მიერ კვლევითი, საგანმანათლებლო, სასწავლო მიზნებისთვის შექმნილი ცენტრების, სამეცნიერო ინსტიტუტებისა და სხვა დამხმარე ორგანიზაციული ერთეულებისაგან.

მუხლი 5. სკოლის მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილება

5.1. სკოლის მართვის ორგანოებია: სკოლის დეკანი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სკოლის საბჭო;

5.2. ცენტრ(ებ)ის მართვის ორგანოა შესაბამისი ცენტრის დირექტორი.

მუხლი 6. სკოლის დეკანი

6.1. სკოლის დეკანი (შემდგომში-დეკანი) სკოლის ადმინისტრაციული თანამდებობის პირია,რომელიც:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას და ხელმძღვანელობს სკოლას;

ბ) სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სკოლის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს,აკადემიური საბჭოსა და სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, გასცემს ცნობებს და ფაკულტეტთან დაკავშირებულ სხვა სახის ინფორმაციას.

ვ) თავმჯდომარეობს სკოლის საბჭოს სხდომებს;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელია სკოლის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ) მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს სკოლის სახელით;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6.2. დეკანის მიერ მოვალეობის შესრულების დროებითი შეუსრულებლობის ან/და მივლინება/შვებულებაში ყოფნის დროს მის უფლებამოსილებას ასრულებს სკოლის პერსონალიდან დეკანის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.უფლებამოსილების გადაცემა (დელეგირება) უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესის მიხედვით.

მუხლი 7. დეკანის არჩევის წესი

7.1. სკოლის საბჭო დეკანს ირჩევს მაქსიმუმ ოთხი წლის ვადით. დეკანად შეიძლება აირჩეს ასოცირებული ან სრული პროფესორი. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

7.2. დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან დეკანის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალოების შემსრულებელს ირჩევს სკოლის საბჭო, დეკანის მოვალეობის შემსრულებელი უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტის წესდებითა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

7.3. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას სკოლის საბჭო აქვეყნებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 8. დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

8.1. დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, სკოლის საბჭო უფლებამოსილია სკოლის საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

8.2. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.

მუხლი 9. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

9.1. სკოლის სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შიდა შეფასების მიზნით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუდმივი განვითარებისათვის იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს სკოლის დებულების შესაბამისად.

9.2. **სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:**

ა) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით.

ბ) შეიმუშავებს სკოლის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს და მას დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის საბჭოს.

გ) სკოლის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესი უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს (შეფასების პროცესში უცხოელ შემფასებელთა მონაწილეობა , სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის სხვადასხვა ფორმის გამოყენება და სხვა);

დ) სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სკოლის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობას აფასებს ძირითადი სკოლის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ამტკიცებს სკოლის საბჭო;

ე) კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

9.3. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, სკოლის საბჭოსა და დეკანის წინაშე.

9.4. . ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ყავს ხელმძღვანელი, რომელსაც ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 10. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

10.1. სკოლის საბჭო განსაზღვრავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს და აცხადებს არჩევნებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.~

10.2 შემოსულ განცხადებებს განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და სკოლის საბჭოს წარუდგენს შერჩეულ კანდიდატურას/კანდიდატურებს.

;

10.3. სკოლას შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა;

10.4. სკოლის საბჭო უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რაც ფორმდება სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 11. სკოლის საბჭო

11.1. სკოლის წარმომადგენლობითი ორგანოა სკოლის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

11.2. სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არის სკოლის საბჭოს შემადგენლობის ¼.

11**.3**. სკოლის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს სკოლის ბიუჯეტს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სკოლის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და საგანმანათლებლო პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს სკოლის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) ირჩევს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ვ) განიხილავს კანდიდატურებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს შესახებ და წარუდგენს რექტორს ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დასანიშნად;

ზ) უფლებამოსილია, სკოლის დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით,სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.დეკანი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს. ამ საკითხზე მირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

თ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით,უნივერსიტეტის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

11.4. სკოლის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარი მაინც. გამონაკლის შემთხვევებში სკოლის საბჭოს სხდომაზე დასწრებად ასევე ჩაითვლება საბჭოს წევრის სხდომაში ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობა,რომელიც დასტურდება და ფორმდება საბჭოს ოქმით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

11.5. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

მუხლი 12. სკოლის საბჭოს სხდომის მომზადება და წარმართვა

12.1. სკოლის საბჭოს სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს სკოლის დეკანი. საბჭოს სხდომა მოიწვევა დეკანის ინიციატივით ან სკოლის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ;

12.2. სკოლის საბჭოს წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ;

12.3. სკოლის საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი მაინც;

12.4. სკოლის საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი მაინც, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.5. სკოლის საბჭოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი,რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) მართვის ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის ჩატარების დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარისა და დამსწრე წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

12.6. სკოლის საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სკოლის საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

თავი IV

სკოლის პერსონალი

მუხლი 13. სკოლის პერსონალი

სკოლაში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე, კვლევითი პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები.

მუხლი 14. აკადემიური და კვლევითი პერსონალი

14.1. სკოლის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.

14.2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი;

14.3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს;

14.4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;

14.5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით;

14.6. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

14.7. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

14.8. სკოლა უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

14.9 კვლევითი პერსონალი შედგება მკვლევარებისაგან. მკვლევრების შემადგენლობას მიეკუთვნება მკვლევარი, ასოცირებული მკვლევარი და ასისტენტ მკვლევარი.

მუხლი 15. ადმინისტრაციული დამხმარე და მასწავლებელთა პერსონალი

15.1. ფაკულტეტზე ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: სკოლის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

15.2. სკოლის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული სკოლის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები;

15.3. სკოლის პედაგოგთა პერსონალს მიეკუთვნება - მოწვეული პედაგოგი. მოწვეული პედაგოგი უფლებამოსილია გაუძღვეს სალექციო, სასემინარო და პრაქტიკულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

15.4. სკოლა უფლებამოსილია აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები ან კვლევითი პერსონალი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

15.5. სკოლა უფლებამოსილია უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული დამხმარე პერსონალის გარდა, გარკვეულ ამოცანათა შესასრულებლად შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სახით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესს, მათ შრომის ანაზღაურების წესსა და ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

თავი V

სკოლის სტუდენტი

მუხლი 16. სკოლის სტუდენტი

16.1. სკოლის სტუდენტი არის პირი,რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტის ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სასწავლო პროგრამაზე;

16.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით;

16.3. სტუდენტს სტატუსი უწყდება პირადი განცხადების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევების შეუძლებლობისას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებისას;

16.4. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით,უნივერსიტეტის წესდებით,უნივერსიტეტის შესაბამისი პირების მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

თავი VI

ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროგრამები

მუხლი 17. ბაკალავრიატი

17.1. საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

ა) სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით;

ბ) მოამზადოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დონის სპეციალისტი სამართლის მიმართულებით, რომელსაც ექნება შესაბამისი ცოდნა სამართლის მიმართულების საქართველოს ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის თაობაზე;

გ) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე იურისტის მომზადება,რომელიც უნარიანია განახორციელოს პრაქტიკული იურიდიული საქმიანობა,მომზადებულია სათანადო თეორიული,ნორმატიული და პრაქტიკული სამართლებრივი ცოდნით;

დ) აღჭურვოს სტუდენტი ცალკეული იურიდიული დარგების მიხედვით მოქმედი კანონმდებლობის რეალიზაციის სპეციფიკაში,პრობლემატიკაში,გამოუმუშაოს მას შეფასების,ანალიზისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები,გააცნოს მას უცხოური პრაქტიკა,უბიძგოს მას გადაწყვეტილებათა მომზადებისას საკითხის პრობლემურ ჭრილში გაანალიზებისაკენ და გადაწყვეტილებათა ეფექტური რეალიზაციისაკენ.საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს მიეწოდება სპეციალური ცოდნა სამართლის თეორიის,მეთოდებისა და ისტორიის,საჯარო სამართლის,კერძო სამართლის,სისხლის

სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალიზაციათა სასწავლო დისციპლინების ფარგლებში;

17.2. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს;

17.3. სტუდენტებს საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში ენიჭებათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

17.4. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სავალდებულოა არანაკლებ 240(ორასორმოცი) კრედიტის შესრულება (დაგროვება);

17.5. საბაკალავრო პროგრამაზე (ზოგადი წესის მიხედვით) სწავლის ხანგრძლივობაა 4 (ოთხი) წელი,რაც მოიცავს 8 (რვა) სემესტრს.

მუხლი 18. მაგისტრატურა

18.1. მაგისტრატურა-აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური,სასწავლო პროგრამების ერთობლიობა,რომელიც შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას, აგრეთვე ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის;

18.2. მაგისტრატურაში სწავლის მიზნებია:

ა) ბაკალავრის შემდგომი დონის კვალიფიციური იურიდიული კადრების მომზადება;

ბ) აღჭურვოს სტუდენტი სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით მოქმედი კანონმდებლობის რეალიზაციის სპეციფიკაში,პრობლემატიკაში,გამოუმუშაოს მას შეფასების, ანალიზისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები,გააცნოს მას უცხოური პრაქტიკა,უბიძგოს მას გადაწყვეტილებათა მომზადებისას საკითხის პრობლემურ ჭრილში გაანალიზებისაკენ და გადაწყვეტილებათა ეფექტური რეალიზაციისაკენ;

გ) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე იურისტის მომზადება,რომელიც უნარიანი იქნება განახორციელოს პრაქტიკული საქმიანობა,მომზადებული იქნება სათანადო თეორიული,ნორმატიული და პრქტიკული ცოდნით.სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტის დანიშნულებაა,განსაზღვრული ხარისხით ხელი შეუწყოს სტუდენტს კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაში,ასწავლოს მას სამეცნიერო კვლევითი მუშაობის წარმართვის თავისებურებანი,სამეცნიერო აზრის პრაქტიკული გამოყენების დანიშნულება,პრაქტიკული საქმიანობის მეცნიერულად დასაბუთებულ დონეზე განხორციელება;

დ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

ე) სპეციალობის შეცვლა;

ვ) კვალიფიკაციის ამაღლება;

18.3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს

18.4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;

18.5. მაგისტრატურაში სწავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია და შესაბამისი სამართლებრივი რეგულირება მოცემულია სკოლის მაგისტრატურის დებულებაში.

მუხლი 19. დოქტორანტურა

19.1. სკოლის დოქტორანტურა,ანუ უმაღლესი განათლების მესამე საფეხური მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

19.2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირს;

19.3. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით;

19.4. სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს;

19.5. სკოლა უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით,უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად,რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს,ხელს უწყობს დოქტორანტის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში;

19.6. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

თავი VII

სკოლის ქონება და ბიუჯეტი

მუხლი 20. სკოლას ქონება და ბიუჯეტი

20.1. სკოლა სარგებლობს უნივერსიტეტის ქონებით,უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

20.2. სკოლის ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს. უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით, სკოლა მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში;

20.3. სკოლის დაფინანსების წყაროებს განეკუთვნება:

ა) უნივერსიტეტის წესდებით სკოლის დაფინანსებისათვის განსაზღვრული წყაროები, გრანტის, შემოწირულობის სახით მიღებული შემოსავლები და სხვა შენატანები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა,მათ შორის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები;

თავი VIII

სკოლის დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა

მუხლი 21. სკოლის დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა

სკოლის დებულებას,მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას სკოლის დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს სკოლის საბჭო, რომელიც საკითხს განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, ხოლო დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.